

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2016 წლის 20 იანვარი

დ.ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №43 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №43 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 22/12/2015) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ინგა მალრაძე

დანართი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9,950.2	3,049.2	6,901.0	9,556.3	3,458.6	6,097.7	6,587.1	138.0	6,449.1
გადასახადები	977.0	0.0	977.0	963.1	0.0	963.1	1,230.0	0.0	1,230.0
გრანტები	7,493.3	3,049.2	4,444.1	7,764.7	3,458.6	4,306.1	4,192.1	138.0	4,054.1
სხვა შემოსავლები	1,479.9	0.0	1,479.9	828.5	0.0	828.5	1,165.0	0.0	1,165.0
ხარჯები	6,884.6	598.5	6,286.1	7,052.1	494.1	6,558.0	6,238.3	157.9	6,080.4
შრომის ანაზღაურება	1,368.0	0.0	1,368.0	1,521.2	26.0	1,495.2	1,656.8	87.0	1,569.8
საქონელი და მომსახურება	1,929.5	598.5	1,331.0	980.6	274.0	706.6	683.1	0.0	683.1
სუბსიდიები	2,739.1	0.0	2,739.1	3,729.8	110.0	3,619.8	3,316.5	49.0	3,267.5



გრანტები	0.0	0.0	0.0	178.1	0.0	178.1	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	820.5	0.0	820.5	544.6	2.0	542.6	562.0	2.0	560.0
სხვა ხარჯები	27.5	0.0	27.5	97.8	82.1	15.7	19.9	19.9	0.0
საოპერაციო საღდო	3,065.6	2,450.7	614.9	2,504.2	2,964.5	-460.3	348.8	-19.9	368.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,206.3	3,861.9	344.4	2,852.5	2,616.8	235.7	516.8	33.1	483.7
ზრდა	4,228.5	3,861.9	366.6	2,869.6	2,616.8	252.8	540.8	33.1	507.7
კლება	22.2	0.0	22.2	17.1	0.0	17.1	24.0	0.0	24.0
მთლიანი საღდო	-1,140.7	-1,411.2	270.5	-348.3	347.7	-696.0	-168.0	-53.0	-115.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,140.7	-1,411.2	270.5	-356.3	339.7	-696.0	-168.9	-53.0	-115.9
ზრდა	270.5	0.0	270.5	502.2	367.9	134.3	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	270.5		270.5	502.2	367.9	134.3	0.0		
კლება	1,411.2	1,411.2	0.0	0.0	0.0	0.0	168.9	53.0	115.9
ვალუტა და დეპოზიტები	1,411.2	1,411.2		0.0			168.9	53.0	115.9
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9972.4	3 049.2	6923.2	9 888.7	3 479.6	6 409.1	6 611.1	138.0	6 473.1
შემოსავლები	⁹ 950,2	3 049,2	6 901,0	9,556.3	3,458.6	6,097.7	6,587.1	138.0	6,449.1
არაფინანსური აქტივების კლება	22,2	0,0	22,2	17.1	0.0	17.1	24,0	0,0	24,0
გადასახადები	977,0	0,0	977,0	963.1	0.0	963.1	1 230,0	0,0	1 230,0
ხარჯები	⁶ 884,6	598,5	6 286,1	7,052.1	494.1	6,558.0	6 282,2	138,0	6 144,2
არაფინანსური	⁴	3 861,9	366,6	2,869.6	2,616.8	252.8	540.8	33.1	507.7



აქტივების ზრდა	228,5								
ვალდებულებების კლება	0,0			8.0	8.0		0,9	0,0	0.9
ნაშთის ცვლილება	1 411,2	1 411,2	0,0	0	0	0	0,0	0,0	0,0

მუხლი 3

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6587.1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9,950.2	3,049.2	6,901.0	9,556.3	3,458.6	6,097.7	6,587.1	138.0	6,449.1
გადასახადები	977.0	0.0	977.0	963.1	0.0	963.1	1,230.0	0.0	1,230.0
გრანტები	7,493.3	3,049.2	4,444.1	7,764.7	3,458.6	4,306.1	4,192.1	138.0	4,054.1
სხვა შემოსავლები	1,479.9	0.0	1,479.9	828.5	0.0	828.5	1,165.0	0.0	1,165.0

მუხლი 4

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1230.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	977.0	0.0	977.0	963.1	0.0	963.1	1,230.0	0.0	1,230.0
საშემოსავლო გადასახადი	0.0			0.0			280.0		280.0
ქონების გადასახადი	977.0	0.0	977.0	963.1	0.0	963.1	950.0	0.0	950.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	85.8		85.8	65.0		65.0	80.0		80.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.0	0.0	2.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის	2.0		2.0	0.1		0.1	0.0		



გამოყენებულ ქონებაზე									
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	889.2	0.0	889.2	898.0	0.0	898.0	870.0	0.0	870.0
იურიდიულ პირებიდან	889.2		889.2	898.0		898.0	870.0		870.0

მუხლი 5

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4192.1 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	7,493.3	3,049.2	4,444.1	7,764.7	3,458.6	4,306.1	4,192.1	138.0	4,054.1
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7,493.3	3,049.2	4,444.1	7,764.7	3,458.6	4,306.1	4,192.1	138.0	4,054.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4,444.1	0.0	4,444.1	4,444.1	138.0	4,306.1	4,192.1	138.0	4,054.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,306.1		4,306.1	4,306.1		4,306.1	4,054.1		4,054.1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	138.0		138.0	138.0	138.0		138.0	138.0	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3,049.2	3,049.2	0.0	3,320.6	3,320.6	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2,279.0	2,279.0		2,553.1	2,553.1		0.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	770.2	770.2		767.5	767.5		0.0		



მუხლი 6

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1165.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	1,479.9	0.0	1,479.9	828.5	0.0	828.5	1,165.0	0.0	1,165.0
შემოსავლები საკუთრებიდან	219.2	0.0	219.2	148.2	0.0	148.2	140.0	0.0	140.0
პროცენტები	87.3		87.3	33.2		33.2	0.0		
რენტა	131.9	0.0	131.9	115.0	0.0	115.0	140.0	0.0	140.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	101.9		101.9	79.1		79.1	100.0		100.0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	30.0		30.0	35.9		35.9	40.0		40.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	6.9	0.0	6.9	13.8	0.0	13.8	25.0	0.0	25.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	6.9	0.0	6.9	13.8	0.0	13.8	25.0	0.0	25.0
სანებართვო მოსაკრებელი	0.9		0.9	1.2		1.2	0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6.0		6.0	12.6		12.6	25.0		25.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,241.6		1,241.6	666.5		666.5	1,000.0		1,000.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	12.2		12.2	0.0			0.0		

მუხლი 7

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6238.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6,884.6	598.5	6,286.1	7,052.1	494.1	6,558.0	6,238.3	157.9	6,080.4
შრომის ანაზღაურება	1,368.0	0.0	1,368.0	1,521.2	26.0	1,495.2	1,656.8	87.0	1,569.8
საქონელი და მომსახურება	1,929.5	598.5	1,331.0	980.6	274.0	706.6	683.1	0.0	683.1
სუბსიდიები	2,739.1	0.0	2,739.1	3,729.8	110.0	3,619.8	3,316.5	49.0	3,267.5
გრანტები	0.0	0.0	0.0	178.1	0.0	178.1	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	820.5	0.0	820.5	544.6	2.0	542.6	562.0	2.0	560.0
სხვა ხარჯები	27.5	0.0	27.5	97.8	82.1	15.7	19.9	19.9	0.0

მუხლი 8

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 516.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 540.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ.კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	91.8		91.8	22,7		22,7	92,5	0.0	92,5
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.7		0.7	0.0	0.0	0.0	1.2	0.0	1.2
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2795.7	2662.9	132.8	2630,5	2520,1	110,4	353,4	33,1	320,3
04 00	განათლება	725.9	695.2	30.7	119,7	0.0	119,7	23,2	0.0	23,2



05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	602.2	503.8	98.4	96,7	96,7	0.0	29,5	0.0	29,5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	12.2	0.0	12.2	0.0	0.0	0.0	41.0	0.0	41.0
	სულ	4228.5	3861.9	366.6		2869,6	252,8	540,8	33,1	507,7

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 24.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	22.2	0.0	22.2	17,1	0.0	17,1	24.0	0.0	24.0
ძირითადი აქტივები	11.9		11.9	0.0		0.0	14.0		14.0
არაწარმოებული აქტივები	10.3	0.0	10.3	17,1	0.0	17,1	10.0	0.0	10.0

მუხლი 9

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,023.4	5.3	2,018.1	2,000.2	0.0	2,000.2	2,246.7	0.0	2,246.7
	აღმასრულებელი და									



7011	წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,023.4	5.3	2,018.1	2,000.2	0.0	2,000.2	2,246.7	0.0	2,246.7
70111	აღმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,023.4	5.3	2,018.1	2,000.2	0.0	2,000.2	2,196.7	0.0	2,196.7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	50.0	0.0	50.0
702	თავდაცვა	101.7	0.0	101.7	94.6	26.0	68.6	99.1	87.0	12.1
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	355.7	0.0	355.7	178.1	0.0	178.1	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	355.7	0.0	355.7	178.1	0.0	178.1	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3,347.1	2,927.1	420.0	2,447.4	2,205.5	241.9	314.1	33.1	281.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	25.0	0.0	25.0	11.1	0.0	11.1	10.0	0.0	10.0
70421	სოფლის მეურნეობა	25.0	0.0	25.0	11.1	0.0	11.1	10.0	0.0	10.0
7045	ტრანსპორტი	3,322.1	2,927.1	395.0	2,436.3	2,205.5	230.8	304.1	33.1	271.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,322.1	2,927.1	395.0	2,436.3	2,205.5	230.8	304.1	33.1	271.0
705	გარემოს დაცვა	462.5	169.5	293.0	551.5	32.5	519.0	425.0	0.0	425.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	453.9	169.5	284.4	519.0	0.0	519.0	405.0	0.0	405.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	8.6	0.0	8.6	32.5	32.5	0.0	20.0	0.0	20.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	381.3	58.8	322.5	1,071.4	631.2	440.2	449.0	0.0	449.0
7061	ბინათმშენებლობა	27.5	0.0	27.5	0.9	0.0	0.9	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	34.8	0.0	34.8	195.8	174.9	20.9	59.7		59.7
7064	გარე განათება	195.2	58.8	136.4	184.0	3.4	180.6	202.3		202.3



7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	123.8	0.0	123.8	690.7	452.9	237.8	187.0		187.0
707	განმრთელობის დაცვა	110.8	0.0	110.8	115.0	110.0	5.0	107.0	49.0	58.0
7074	საზოგადოებრივი განადგვის მომსახურება	110.8	0.0	110.8	115.0	110.0	5.0	107.0	49.0	58.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,933.5	503.8	1,429.7	1,582.3	96.7	1,485.6	1,380.5	0.0	1,380.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	562.9	85.6	477.3	615.0	0.0	615.0	485.0	0.0	485.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,194.1	418.2	775.9	907.4	91.7	815.7	704.0		704.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	28.6	0.0	28.6	47.5	0.0	47.5	60.0	0.0	60.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	147.9	0.0	147.9	12.4	5.0	7.4	131.5		131.5
709	განათლება	1,578.8	795.9	782.9	1,237.5	0.0	1,237.5	1,051.7	0.0	1,051.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,376.9	795.9	581.0	991.7	0.0	991.7	818.5	0.0	818.5
7092	ზოგადი განათლება	96.0	0.0	96.0	136.6	0.0	136.6	105.0	0.0	105.0
70923	სამუშაო ზოგადი განათლება	96.0	0.0	96.0	136.6	0.0	136.6	105.0	0.0	105.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	105.9	0.0	105.9	109.2	0.0	109.2	128.2	0.0	128.2
710	სოციალური დაცვა	818.3	0.0	818.3	651.7	17.0	634.7	706.9	21.9	685.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	573.8	0.0	573.8	454.6	0.0	454.6	528.0	0.0	528.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	573.8	0.0	573.8	454.6	0.0	454.6	528.0	0.0	528.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	36.7	0.0	36.7	52.0	0.0	52.0	40.0	0.0	40.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება	206.8	0.0	206.8	143.1	15.0	128.1	136.9	19.9	117.0



	კლასიფიკაციას									
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1.0	0.0	1.0	2.0	2.0	0.0	2.0	2.0	0.0
	სულ	11,113.1	4,460.4	6,652.7	9,929.7	3,118.9	6,810.8	6,780.0	191.0	6,589.0

მუხლი 10

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 168.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 168.9 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება - 168.9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 168.9 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება - 168.9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 138.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 49.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 87.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 14

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 99.1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 99.1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხარაგაულის



მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის გამოკვლევის მიზნით მათი რესპუბლიკის სამედიცინო-საექსპერტო კომისიაზე და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, ასევე საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში მობილიზებული წვევამდელების და რეზერვისტების ტრანსპორტირება დისლოკაციის ადგილამდე.

2.ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 1188.1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების ფონდიდან სახსრების გამოსაყოფად მუნიციპალიტეტისათვის აუცილებლობას წარმოადგენს თანადაფინანსებისათვის თიოეული ინფრასტრუქტურული პროექტის მთლიანი ღირებულების 5 %-ის ბიუჯეტში გათვალისწინება.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 262. 1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა. გაგრძელდება ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია და მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

თანადაფინანსების წესით საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 99,3 ათასი ლარი, ამ პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უბისა-ღორემის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ასევე სოფელ გედსამანიისა და სოფელ ბაზალეთის სასოფლო გზებს.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 687.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება სანიაღვრე არხების მოწესრიგება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

გ) სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების, საყრდენი კედლების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა – 20.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები.

დ) დასუფთავების ღონისძიებები – 405.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ამ პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, დაბის მოსახლეობის მაწანწალა ძაღლებისაგან დაცვა. ახლადშექმნილი წყალანირების ჯგუფის მიერ კანალიზაციის დაზიანებული წერტილების აღმოფხვრა-შეკეთება. დაფინანსდება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები. დასუფთავების ღონისძიებები გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების სოფლებში ზვარე, მოლითი, ბეჟათუბანი, დიდვაკე, ჯაფაროული,ბაზალეთი, ფარცხნალი,თეთრაწყარო, საქარიქედი,კიცხი,ხიდარი, ვარძია, წყალაფორეთი, ბორი, ლაშე, უბისა, მაქათუბანი, ბორითი, საქასრია,, ვერტყვიჭალა, ხევი, ხუნევი, რიკოთი, სადაც განთავსებულია 143 ცალი ნარჩენების შემაგროვებელი კონტეინერი.რომელსაც ემსახურება 27 მეეზოვე, მათ შორის 14 დაბასა და 13 ტერიტორიული ერთეულების სოფლებში და ექვსი დასუფთავების ჯგუფის უფროსი, ნარჩენების გატანა ხდება ორი ერთეული „ისუზუს“



ტიპის სპეციალური ავტომატური, რომელსაც ემსახურება ოთხი მტვირთავი მუშა.

ე) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 59.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ამ პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში წყლის სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყობა წყლის ჭაბურღილები.

ვ). გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია – 163.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, კერძოდ დაბაში სოლომონ მეფის, ცხრა აპრილის, გალაქტიონის, რ. დეკანოზიძის, რ. თაბუკაშვილის, ო. აბაშიძის, წერეთლის, თ. ჭიპაშვილის, ე. ჭიპაშვილის, ჭავჭავაძის, გურამიშვილის, გრიშაშვილის, დევდარიანის, ნიორაძის, კიკნაძის და გლუნჩაძის ქუჩებზე, ასევე სოფლებში დიდვაკე, ისლარი, ფარცხალი, ნებოძირი, ლელვანი, უბისა, მოლითი, ბორითი, კიცხი, ვერტყვიჭალა, საქარიქედსა და ბაზალეთში და არსებული ქსელის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება.

ზ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია 39.3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა გარე განათების ახალი ქსელი სოფელ კიცხში .

თ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები – 187.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბაში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მწვანე ნარგავების მოვლა. სადღესასწაულო დღეებში დაბის ტერიტორიის გაფორმება და სხვა ღონისძიებები. მოეწყობა და შემოიღობება მუნიციპალიტეტის სოფლებში სასაფლაოს ტერიტორიები. ასევე მოეწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული სკვერები.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დაბის პარკის, თ. კიკნაძის სახელობის, ჩოხოსნების, გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, პოლიციის მიმდებარე ტერიტორიის, ვ. ღონაძის სახელობის შინმოუსვლელთა, ცხრა აპრილის, დაბის შესასვლელში „დევების“ ტერიტორიის სკვერის, სოფ. ბორითში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერის, სოფ. ნებოძირში არსებული სკვერის, სოფ. ღორეშაში იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, შინმოუსვლელთა და ვაჟა ფშაველას მემორიალის მიმდინარე სკვერების, საქარიქედის სკვერის მოვლა პატრონობა ასევე სოფ. ისლარში არსებული დაცული ტერიტორიის მოვლა პატრონობა, პირუტყვისაგან დაცვა, ახალი ნარგავების დარგვა და მოვლა, გასხვლა, მორწყვა, შემობარვა. დაბაში არსებული ხიდების და ტროტუარების მოვლა, გაღებვა, დაზიანებული ადგილების აღდგენა, მრავალწლიანი ნარგავების მოვლა, გადაჭრა, კირით შეწამვლა, შემობარვა, საჭირო შემთხვევაში ამოღება; დაბაში არსებული ორი ფანტანის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ი) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები – 42.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსების წესით განხორციელდება კიცხის ტერიტორიულ ერთეულში სოფლის სახლის მშენებლობა.

კ) სოფლის მეურნეობის დაფინანსება – 10.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 06)

ამ პროგრამით გაგრძელდება მარტივი ტიპის სანერგე მეურნეობის დაფინანსება, სოფელ კიცხის ტერიტორიაზე ვაზის ნამყენი ნერგების ცივი გამოყვანისათვის, რაც უზრუნველყოფს სამომავლოდ მევენახეობა-მელვინეობის დარგის აღორძინებასა და შემდგომ განვითარებას.

3. განათლება –1051.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს,



ახლად აშენებულ ბაღებში მოხდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად ბავშვების კვებისათვის აუცილებელი ნორმების დაწესებისათვის დამატებითი სახსრების გამოყოფა.

სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

თანადაფინანსების წესით განათლების ობიექტების, კერძოდ საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაციისათვის მუნიციპალიტეტის დააფინანსებს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 5 %-ს.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება – 818.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01) პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯები, რომელიც ქმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად, ამჟამად მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სკოლამდელ განათლებას ეუფლება 480 აღსაზრდელი, რომელსაც ემსახურება 168 თანამშრომელი, მათ შორის 42 პედაგოგ-აღმზრდელი და 12 ფსიქოლოგ-პედაგოგი. გაერთიანებაში ამჟამად შედის ცამეტი საბავშვო ბაღი და უახლოეს პერიოდში ექსპლუატაციაში შევა კიდევ ერთი საბავშვო ბაღი სოფელ ზვარეში.

ბ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა – 105.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურების დაფინანსება. სკოლაში სწავლობს 116 მოსწავლე და 24 სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ხოლო ღამეს ათევის უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და ლტოლვილი 16 მოსწავლე, დაფინანსება ძირითადად ხმარდება ხელფასებს, ნაწილი კი კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, კვებისა და მკურნალობის ხარჯები მთლიანად ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნატურალური სახით და ამასთან ანაზღაურებს სწავლის პერიოდში ელექტროენერგიის ხარჯებს. ადგილობრივი დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და გარდა სკოლაში დამრჩენი 16 ბავშვისა, სკოლის ყველა მოსწავლეს ეხმარება სამედიცინო მომსახურებაში, უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლის დაფინანსებაში და ა. შ. პანსიონის ბაზაზე მუნიციპალიტეტის სახსრებით მოეწყო შშმ პირებისათვის დღის ცენტრი.

გ) სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება – 105.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას.

დ) განათლების ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ინვენტარით უზრუნველყოფა 23.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 04)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბის N 2, სოფელ ღორემის, ხევის, წიფისა და მოლითის საბავშვო ბაღებს, ხოლო თანადაფინანსების წესით მუნიციპალიტეტი დააფინანსებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოს ღირებულებას და შესასრულებელი სამუშაოების 5 %-ს.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 1380.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების, მომღერლების და სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 485.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)



პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტთან დაკავშირებული ყველა სახის ღონისძიებები.

2016 წელს გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ: ქუჩის კალათბურთი, ქვიშის ფრენბურთის ჩემპიონატი, მარათონი „ვირბინოთ მსოფლიოსთან ერთად“ სასკოლო ოლიმპიადი, რომელშიდაც ჩართული იქნებიან საჯარო სკოლის მოსწავლეები, მუნიციპალიტეტის პირველობა მოსწავლეთა შორის შაშხი და ჭადრაკში, მკლავჭიდში, მინი ფეხბურთში უზნებსა და ორგანიზაციებს შორის, ნ.ახალკაცის სახელობის ტურნირი ფეხბურთში, სამაგიდო თამაშები (ჭადრაკი,ნარდი, დომინო, შაში) ბ. გოგნაძის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა მიუდოში,მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში, ფრენბურთში ვაჟებსა და გოგოგონებს შორის, მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. კალათბურთის ჩემპიონატის ჩატარება მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულებსა და სკოლებს შორის, ასევე ქუჩის კალათბურთის ჩატარება. რესპუბლიკური ტურნირების მოწყობა კარატეში, თავისუფალ ჭიდაობაში, მიუდოში. მონაწილეობის მიღება სოფელ ვახანში მ. არევადის სახელობის სახალხო დღესასწაულში, ზონალური ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ხარაგაულის სპორტის განვითარების მუნიციპალური ცენტრის, „საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა -2009“-ისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსება.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა –704.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება. ქართული თეატრის დღის აღნიშვნა, მომღერალი ოჯახების კონკურსი. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურული დანიშნულების ექვსი ა(ა)იპ, რომლებიც მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერითა და საკუთარი შემოსულობების გამოყენებით ახორციელებენ სხვადასხვა სახის კულტურულ და სანახაობრივ ღონისძიებებს, როგორც მუნიციპალიტეტის ასევე ქვეყნის მასშტაბით. წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში.

გ) ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა 60.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 03)

